ტერმინი	განმარტება	გამოსახულება
ამპუტაცია	სხეულის ნაწილის დაკარგვა, მაგალითად, ფეხის ან მკლავის.	
ართრიტი	ჯანმრთელობის პრობლემა, როდესაც ადამიანის სახსრები ხისტდება, შეშუპებულია ან/და ტკივილს იწვევს მოძრაობისას.	
ცერებრული დამბლა	მდგომარეობათა ჯგუფი, რომელიც ზემოქმედებს მოძრაობაზე, კუნთების ტონუსზე, წონასწორობაზე და სხეულის მდგომარეობაზე. ცერებრული დამბლა არის ტვინის დაზიანების შედეგი დაბადებამდე, მის დროს ან მალევე დაბადების შემდეგ.	
დიაბეტი	დაავადება, რომლის დროსაც სისხლში შაქრის დონე მაღალია. ამან შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის მრავალი პრობლემა, მათ შორის: სხეულის ნაწილების (განსაკუთრებით ტერფების) შეგრძნების დაქვეითება და, შესაბამისად, ტერფის ჭრილობები, მხედველობის თანდათანობითი დაქვეითება, თირკმელების დაზიანება, შარდის შეუკავებლობა და მეხსიერების პრობლემები	
ტერფის დიაბეტური ჭრილობა	კანის დაზიანება ტერფის არეში. ტერფის ჭრილობები დიაბეტის და სხვა ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულებაა, რაც ამცირებს ტერფის მგრძნობელობას. თუ არ ჩატარდა მკურნალობა, დიაბეტური ტერფის ჭრილობამ შეიძლება გამოიწვიოს ამპუტაცია. დიაბეტურ ტერფის ჭრილობებს ასევე უწოდებენ ტერფის წყლულებს.	
სახელურები	ფიქსირებული სახელურები, რომელიც ადამიანს ეხმარება წონასწორობის დაცვის ან გადაადგილების დროს.	
ვარგისიანობა	ფიზიკურად ძლიერად და ჯანმრთელად ყოფნა.	
მყიფე/სიმყიფე	სუსტი, მყიფე და ენერგიისგან დაცლილი. ხშირად გამოწვეულია ადამიანის დაბერებით და ჯანმრთელობის დაქვეითებით.	
ორთეზი	სამაგრი ან არტაშანი, რომელიც მაგრდება ადამიანის სხეულის ნაწილზე. მას შეუძლია ტკივილის შემცირება, გადაადგილების ხელშეწყობა ან არასასურველი მოძრაობის შეჩერება.	
დამბლა	სხეულის ნაწილის (ჩვეულებრივ, ფეხების ან ხელების) მოძრაობის უნარის დაკარგვა.	
პოლიომიელიტი	სერიოზული ინფექციური დაავადება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კუნთების დასუსტება ან დამბლა. ეს გავლენას მოახდენს მობილობაზე ინფექციისგან გამოჯანმრთელების შემდეგაც კი.	
ნაწოლი ჭრილობა	ნაწოლი ჭრილობა არის კანის რღვევა. ის ჩვეულებრივ ვითარდება ძვლის მიდამოზე და საერთო პრობლემაა იმ პირისთვის, რომელსაც მგრძნობელობა დაქვეითებული აქვს, ან უჭირს მოძრაობა და პოზიციის შეცვლა.	

პროთეზი	ხელოვნური კიდური, რომელიც ცვლის სხეულის დაკარგულ ნაწილს (მაგ. ფეხი).	
როლატორი	ოთხბორბლიანი ორთოპედიული სამარჯვი	
თვითმოვლა	თვითმოვლა ნიშნავს საკუთარ თავზე ზრუნვას. TAP ყურადღებას ამახვილებს თვითმოვლის ქმედებებზე, რომელსაც ადამიანი ყოველდღიურად ახორციელებს, რათა იზრუნოს ძირითად პირად მოთხოვნილებებზე. მაგალითად: დაბანა, ტუალეტში სიარული, ჩაცმა, ჭამა და დალევა.	
შეგრძნება	შეხების, ზეწოლისა და ტკივილის შეგრძნების უნარი.	
ზურგის ტვინის ტრავმა	ზურგის ტვინის დაზიანება, რომელიც, როგორც წესი, გამოწვეულია უბედური შემთხვევის ან ავადმყოფობის შედეგად. ზურგის ტვინის დაზიანების შემდეგ, შეტყობინებები ვერ გადადის ზურგის ტვინის გასწვრივ, სხეულსა და ტვინს შორის. ხშირად პირი ვერ მოძრაობს (პარალიზებულია) და კარგავს მგრძნობელობას დაზიანების ქვემოთ	
ინსულტი	თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის ბლოკირება. ამან შეიძლება გამოიწვიოს სხეულის ერთი მხარის სისუსტე ან დამბლა, ასევე პრობლემები საუბრის, გრძნობის, აზროვნებისა და მხედველობის დროს.	
ტაკვი	ამპუტაციის შემდეგ, მკლავის ან ფეხის ნაწილს, რომელიც რჩება ჯანსაღი სახსრის მიღმა, ეწოდება ნარჩენი (დარჩენილი) კიდური, ან უფრო ხშირად, ტაკვი.	
სამკურნალო ფეხსაცმელი	სამკურნალო ფეხსაცმელი არის ფეხსაცმელი და ჩასაფენი ძირები იმ პირებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ სიარული, თუმცა სჭირდებათ ფეხების დაცვა ზეწოლისა და ხახუნისგან.	
გადაყვანა	საკუთარი სხეულის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა.	
წონის ტარება	წონის ოდენობა, რომელიც ადამიანს შეუძლია გადაიტანოს ფეხებზე.	